











სპორტსმენების ანალიზი

 მათემატიკა X	 ფიზიკა	 ტექნოლოგიები X	 ინჟინერია	 ხელოვნება	 ქიმია	 ბიოლოგია	 უცხო ენა X
--	---	--	--	---	--	---	--

<p>მიმართულება სტატისტიკა სასწავლო თემა: მონაცემების ანალიზი</p>	<p>სამიზნე ცნება: მონაცემთა ანალიზი</p>	<p>მაკრო ცნება: კვლევა, ფორმა და წარმოდგენა</p>	<p>კლასი: 7 დრო - 3 კვირა</p>
<p>საკითხი: მონაცემების ანალიზი ქვესაკითხები</p> <ul style="list-style-type: none"> • მონაცემების შეგროვება, მონაცემების კლასიფიკაცია • მონაცემების წარმოდგენა: ცხრილი, სვეტოვანი დიაგრამა, წრიული დიაგრამა, პიქტოგრამა • მედიანა, მოდა, საშუალო, გაბნევის დიაპაზონი 		<p>საკვანძო კითხვა:</p> <p>როგორ არის შესაძლებელი შევადაროთ სპორტსმენები ერთმანეთს და დავადგინოთ, რომელი უფრო შედეგიანია?</p>	

კვლევა: სპორტსმენების ანალიზი

მისაღწევი შედეგები სტანდარტიდან:

მათ. საბ 1 ; მათ საბ 3; მათ. საბ 5; მათ. საბ 6; მათ. საბ 10; მათ საბ 11

21- ე საუკუნის მისაღწევი შედეგი

პრობლემის გადაჭრა;

ტექნოლოგიების ფლობა-გამოყენება

საინფორმაციო წიგნიერება



დავალე
ბის
პირობა:

სპორტსმენების ანალიზი

დავალეების პირობა



შეჯიბრის ტიპის სპორტის სახეობები ძალიან პოპულარულია მთელს მსოფლიოში. წარმატებულ სპორტსმენად გახდომის აუცილებელი პირობაა დაუღალავი ფიზიკური ვარჯიში, ინსტიქტებისა და ფიზიკური ძალის განვითარება, რომელიც სპორტის კონკრეტული სახეობისათვის არის შესაბამისი და საჭირო. არანაკლებ მნიშვნელოვანია, გვეჩვენოს ინფორმაცია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კვლევების შესახებ სპორტის ამა თუ იმ სახეობაში.

შენი დავალეება:

- შეადგინო კითხვარი და დაადგინო სპორტის რომელი სახეობები უყარო ყველაზე მეტად შენს თანატოლებს.
- კვლევის შედეგად გამოავლინო გამარჯვებული სპორტის სახეობა
- ინტერნეტის მეშვეობით მოიძიო ინფორმაცია ამ სახეობის სპორტსმენებზე, შეარჩიო 2 ყველზე ცნობილი სპორტსმენი, განალიზო და შეადარო მათი შედეგები ბოლო 10 წლის განმავლობაში.

ინსტრუქცია:

კვლევის დაგეგმვა და მონაცემების შეგროვება შესაძლებელია დააორგანიზო ტექნოლოგიების გამოყენებით, Windows Forms- ის მეშვეობით;

[Windows Form - აპლიკაცია კვლევის დასაგეგმად](#)

დააორგანიზე შენ მიერ მოპოვებული კვლევის შედეგები და წარმოადგინე Microsoft power point-ის მეშვეობით.

პრეზენტაციაში ხაზგასმით წარმოაჩინე:

- როგორ ხდება სტატისტიკაში საკვლევი თემის განსაზღვრა, მონაცემების შეგროვება, დამუშავება და წარმოდგენა? რა არის შენი საკვლევი თემა?



	<ul style="list-style-type: none"> 👤 როგორ იგეგმება კვლევა? ვის/ რატომ/რისთვის სჭირდება მონაცემთა მოპოვების სხვადასხვა ხერხები: დაკვირვება, ექსპერიმენტი, კითხვარი, გამოკითხვა. 👤 სპორტის რომელი სახეობა უყვართ ყველაზე მეტად შენს თანატოლებს? როგორ გააანალიზე და დააორგანიზე შენ მიერ შეგროვებული მონაცემები? 👤 გამოკითხულთა რამდენი პროცენი დააგროვა აქვს პირველ ადგილზე გასულმა სპორტის სახეობამ? მეორე ადგილზე გასულმა? 👤 რომელი ფორმა აირჩიე მონაცემების წარმოსადგენად? რაში გვეხმარება მონაცემების სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა? 👤 რომელი ორი სპორტსმენი შეარჩიე საკვლევად? 👤 სად და როგორ მოიპოვე ინფორმაცია სპორტსმენებზე? რა ფორმით დააორგანიზე? 👤 როგორ გამოიყენე სპორტსმენების მონაცემების ანალიზისას მონაცემთა შემაჯამებელი რიკხვითი მახასიათებლები: ცენტრალური ტენდენციის საზომები, მონაცემთა გაფანტულობა? რა შეგიძლია თქვა, რომელი სპორტსმენი იქნება უფრო შედეგიანი მომავალ წელს?
<p>რეკომენდაციები მოსწავლეს</p>	<p>მოცემულია ვიდეო გაკვეთილები, რომელიც შეესაბამება მე-7 და მე-8 კლასს. აღნიშნული ვიდეომასალა დაგეხმარებათ კვლევის დაგეგმვასა და მონაცემების დამუშავებაში</p> <p>სტატისტიკა - კვლევის დაგეგმვა</p> <p>სტატისტიკა- მონაცემების დამუშავება</p> <p>TEAMS FORM- კვლევის დაგეგმვა, ინგლისურად</p> <p>TEAMS FORM- კვლევის დაგეგმვა, ინსტრუქცია ქართულად</p>



შეფასება

<p>მეთოდები/ სტრატეგიები ცოდნის შესაფასებლად</p>	<p>სწავლების პროცესში შეფასდება როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასებით</p> <p>პროცესში შეფასება შეიძლება მოხდეს SOLO ტაქსონომიის მიხედვით, რაც გულისხმობს Structure of learning outcomes</p> <p>შეფასების ინსტრუმენტები/სახეები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ქვიზი • სადიაგნოსტიკო ტესტი • დიაგრამით, ცხრილით ნასწავლის დემონსტრირება • რამდენიმე სიტყვით შეაჯამე რა იყო ძირითადი იდეა • 1 ნუთიანი შეჯამება - სიტყვიერი ან წერილობითი • დისკუსია, განხილვა წყვილებში • მოსწავლის თვითშეფასება • მოსწავლეების მიერ ერთმანეთის შეფასება • სასწავლო თენის შემაჯამებელი ტესტი
<p>მისაღწევი შედეგები სტანდარტიდან:</p>	<p>მისაღწევი შედეგები სტანდარტიდან: მათ. საბ 1 ; მათ საბ 3; მათ. საბ 5; მათ. საბ 6; მათ. საბ 10; მათ საბ 11</p> <p>მათ. საბ. 1- მათემატიკური ან სხვა საგნებიდან მომდინარე ამოცანების განხილვისას შიპოთეზების ჩამოყალიბება, მათი მართებულობის დადგენა ან უარყოფა;</p> <p>მათ. საბ 3 -მათემატიკური ობიექტების განსაზღვრებებისა და თვისებების სწორად ჩამოყალიბება; მათემატიკური ტერმინების, აღნიშვნებისა და სიმბოლოების კორექტულად და ლოგიკურად გამოყენება.</p> <p>მათ. საბ 5 - მათემატიკურ იდეებს შორის კავშირის დადგენა. მათემატიკასა და სხვა საგნებს შორის კავშირების დადგენა.</p> <p>მათ. საბ 6 - გრაფიკულად გადმოცემული მათემატიკური შინაარსის ინფორმაციის ნაკითხვა; მათემატიკური ობიექტების გრაფიკული ხერხით (გრაფიკების, დიაგრამების და ნახაზების სახით) წარმოდგენა.</p> <p>მათ. საბ 10 - ამოცანის ამოხსნის შემდეგ მიღებული შედეგის კრიტიკული შეფასება, ანალიზი, ამოცანის კონტექსტის გათვალისწინებით.</p> <p>მათ. საბ 11- ტექნოლოგიების გამოყენება მათემატიკური პრობლემის ამოხსნისათვის. ტექნოლოგიების გამოყენებით საკითხის ვიზუალური წარმოდგენა, მოდელის შექმნა. კომპიუტერული აპლიკაციების გამოყენება მათემატიკური პრობლემის გადაჭრისთვის.</p>



	<p>21- ე საუკუნის მისაღწევი შედეგი კრიტიკული აზროვნება; ტექნოლოგიების გამოყენება; საინფორმაციო წიგნიერება; კარიერული არჩევანი ცხოვრებაში</p>
<p>შეფასება</p>	<p>მოსწავლეს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none">• სტატისტიკის მნიშვნელობის გააზრება და პროცესის სწორი წარმართვა• კვლევის საჭიროების და შინაარსის გააზრება, კვლევის დაგეგმვა, ექსპერიმენტის ჩატარება• საკვლევ თემაზე მონაცემების შეგროვება, დამუშავება და წარმოდგენა სხვადასხვა ფორმით• მონაცემების შემაჯამებელი რიცხვითი მახასიათებლების გამოთვლა.